

**მიმღეობურ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია
ქართულში (ნორმირების ასპექტით)**

მიმღეობის ფორმები ქართულ ენაში მრავალფეროვანია წარმოების თვალსაზრისით. მიმღეობის მაწარმოებელი შეიძლება იყოს პრეფიქსი, სუფიქსი ან კონფიქსი. ძველსა და ახალ ქართულში მიმღეობის წარმოების განსხვავებულ ვითარებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძირითადი სხვაობა იმაში შეინიშნება, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა უპირატესობას ანიჭებს მიმღეობათა ოდენ პრეფიქსიან წარმოებას, მაშინ როცა ძველი ქართულისათვის პრეფიქს-სუფიქსური წარმოება იყო დამახასიათებელი (ოსიძე 1957: 84).

აღსანიშნავია არნ. ჩიქობავას შეხედულება მიმღეობაში კლას-კატეგორიათა მაწარმოებლების გამოყოფის შესახებ. მისი აზრით, **მ-** პრეფიქსი მიმღეობაში ადამიანის კატეგორიაზე მიუთითებს, **ნა-/სა-** – ნივთის კატეგორიაზე. საგულისხმოა ისიც, რომ დეტერმინანტი სუფიქსები და კლას-კატეგორიათა პრეფიქსები ერთნაირი აქვს როგორც სახელისაგან, ისე ზმნისგან ნაწარმოებ სახელს. ამის საფუძვლად მიჩნეულია სახელისა და ზმნის კატეგორიათა ისტორიული გაუდიფერენცირებულობა საერთო-ქართველურ დონეზე. არნ. ჩიქობავას აზრით, მიმღეობა, როგორც მორფოლოგიური მონაცემი, უფრო გვიანდელი ფორმაციისაა, ვიდრე არსებითი სახელი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მიმღეობის წარმოებისას სახელის ფუძის დეტერმინანტთა გამოყენება (ჩიქობავა 1953: 47).

მაწარმოებელ აფიქსთა სიმრავლე, ბუნებრივია, განაპირობებს მიმღეობურ ფორმათა მრავალფეროვნებასა და სიუხვეს ქართულში. ენის განვითარების ხანგრძლივ პერიოდში ჩამოყალიბდა მიმღეობის ნაირგვარი ფორმები, რომელთაგან ბევრმა განიცადა სემანტიკური დიფერენციაცია, ბევრი სახელად იქცა, ზოგი დარჩა გაუდიფერენცირებელი და ამის შედეგია თანამედროვე ქარ-

თულში არსებული ვარიანტები. მათგან ზოგი დიალექტიზმია, ზოგი კი – სალიტერატურო ენის კუთვნილება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სასუბიექტო მიმღეობას ძირითადად აწარმოებს **მ-** პრეფიქსი, ზოგჯერ – **მ-ელ** ან **მა-ელ**. აღსანიშნავია, რომ **-ელ** სუფიქსი მიმღეობას მოუდის აწმყოშიაც და მყოფადშიც.

საინტერესოა მიმღეობურ ფორმათა განხილვა ნორმირების ასპექტით. საანალიზო ფორმათა კვალიფიკაციისას ჩვენ ვეყრდნობით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს (ვ. თოფურისა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მონაცემებს) და საზომად მოვიშველიებთ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპს, რომელიც ნორმირებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპად მიგვაჩნია.

მდიდარი ქართული ენობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ მეტყველის ცნობიერებაში არსებული ნაირგვარი მაწარმოებლები ზოგჯერ შეიძლება სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის საფუძველიც გახდეს. ასე მაგალითად, **მ-** პრეფიქსს შეიძლება ჩაენაცვლოს **მ-ელ**, ანდა – პირიქით. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით:

მართებულია:

მ-ქშინავ-ი

მ-ხედნ-ელ-ი

მ-ჯღაბნ-ელ-ი

მო-მ-ღლ-ელ-ი

და-მ-თრგუნვ-ელ-ი

მცდარია:

მ-ქშენ-ელ-ი

მ-ხედნავ-ი

მ-ჯღაბნავ-ი

და-მ-ღალავ-ი

და-მ-თრგუნავ-ი

თუ **-ავ**, **-ამ** თემისნიშნაანია ზმნა, მიმღეობის მაწარმოებელი კი – **მ-ელ**, მაშინ მიმღეობაში იკარგება **-ავ**, **-ამ**. ამ წესის მიუხედავად, კანონიერად არის მიჩნეული პარალელური წარმოების შემთხვევები:

ა-მ-კინძვ-ელ-ი // **ა-მ-კინძავ-ი**,

მ-ძარცვ-ელ-ი // **მ-ძარცვავ-ი...**

არნ. ჩიქობავას **-ელ** სუფიქსის გამარტივებულ სახედ მიაჩნია **-ე** სუფიქსი ფორმებში: **შემწე-ე**, **მწიფე-ე**, **მო-ვაკრე-ე**, **მო-რწმუნე-ე**, **მო-სწავლე-ე**, **მო-ღვაწე-ე**, **მო-სწრაფე-ე**, **მო-ძულე-ე**, **მო-წაფე-ე**, **სავსე-ე**, **საქმე-ე...**

საობიექტო მიმღეობის მაწარმოებლებია სუფიქსები **-ილ** და **-ულ**, აგრეთვე **ნა-**, **სა-** პრეფიქსები, **სა-ელ**, **უ-ელ**, **მ-არ** კონფიქსები. საინტერესოა, რომ დროის (წარსული და მომავალი) გაგებას იძლევა მხოლოდ საობიექტო მიმღეობა. გამონაკლისია **ვალ** ფუძისაგან ნაწარმოები ზმნები, რომელთაც სამივე დროის მიმღეობა აქვს: **მო-მა-ვალ-ი – მო-სულ-ი (მო-ნა-სვლ-ელ-ი // მო-ნა-ვალ-ი) – მო-სა-ვალ-ი (// მო-სა-სვლ-ელი)**. მაწარმოებლები დროის მიხედვით ასე ნაწილდება:

წარსული				მომავალი	
/ \				/ \	
ნა-	-ილ	-ულ	უ-ელ	მ-არ	
				სა-	სა-ელ

საობიექტო მიმღეობის საწარმოებლად **-ილ**, **-ულ** სუფიქსების გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გარკვეულ წესს ექვემდებარება, გამოკვეთილია მიმღეობის წარმოებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი. მაგალითად, წარსული დროის საობიექტო მიმღეობის საწარმოებლად **-ილ** სუფიქსი გამოყენებულია ყოველთვის უპრეფიქსოდ, ოდენ სუფიქსური წარმოება სხვა დროებში არ არის; **-ულ** სუფიქსთან ერთად ზოგჯერ შეიძლება **მ-** პრეფიქსიც იყოს.

განსხვავება, რომელიც შეიძლება არსებულებო **-ილ**, **-ულ** სუფიქსებითა და **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოებ მიმღეობათა შორის გრამატიკული თვალსაზრისით, ამჟამად არ არსებობს. მაგალითად, **ნანახი** და **ნახული** დღეს ერთი და იგივეა მნიშვნელობით. ისინი გაუდიფერენცირებელი ფორმებია, პარალელურად არსებობენ ენაში. სხვა შემთხვევაში დიფერენციაციის მაგალითები უხვად მოიპოვება (შდრ. **ნახატი – დახატული**).

თუ ზმნისწინიანი მიმღეობაში ორივე სახის წარმოება დასტურდება: **ა-შენებ-ულ-ი – ა-ნა-შენებ-ი, და-წერ-ილი – და-ნა-წერ-ი**, უზმნისწინო ფორმები უმეტესად პრეფიქსით არის წარმოდგენილი. მაგალითად: **ნა-შენებ-ი, ნა-წერ-ი, ნა-კეთებ-ი... -ილ/-ულ** სუფიქსიანი მიმღეობა იშვიათად გვხვდება უზმნისწინოდ, **ნა-** პრეფიქსიანი კი თითქმის უზმნისწინოა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზმნები, რომლებიც, საზოგადოდ, ზმნისწინს არ დაირთავენ, მიმღეობას სწორედ **ნა-** პრეფიქსით აწარმოებენ: **ნა-თქვამი, ნა-ყიდი, ნა-პოვნო** და სხვა.

არნ. ჩიქობავას აზრით, **ნა-** პრეფიქსიანი მიმღეობა ყველაზე ძველია მიმღეობათა შორის. **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოებმა ფორმებმა ისტორიულად იმატა და ზოგ შემთხვევაში უფრო ტენდენციური გახდა. მაგალითად, ძველად იყო **თქმული**, დღეს კი უფრო გავრცელებულია **ნათქვამი** (შდრ.: **ნანახი // ნახული**).

სახელად ქცეულ მიმღეობათა გარდა, ქართულში არის ჩვეულებრივი მიმღეობური ფორმები, რომელთაგან ზოგი დიალექტიზმია, ზოგიც – სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, **-ილ/-ულ** სუფიქსიანი ვარიანტები. ნორმირების ასპექტით გამოიყოფა სხვადასხვა შემთხვევა:

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით კანონიერია ორივე (**-ილ/-ულ** სუფიქსიანი ფორმები):

- დაგროვებული // დაგროვილი**
- დათხუპნული // დათხუპნილი**
- დაკოყრებული // დაკოყრილი**
- დაბრძენებული [//დაბრძნობილი]**
- ამოცვენილი // ამოცვივნილი...**

აქ **-ილ/-ულ** სუფიქსიანი ფორმათა გამოიჯენის ტენდენცია ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის, ძნელია იმის თქმა, რომელს ანიჭებს ენა უპირატესობას (გარდა მეოთხე შემთხვევისა);

2. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით კანონიერია **-ულ** სუფიქსიანი ფორმები:

- დახშული** და არა **დახშობილი**
- დაკრული** და არა **დაკრობილი**
- დათრგუნული** და არა **დათრგუნვილი** (ან **დათურგნული**)
- დადეხული** და არა **დადოხილი** (ან **დადეხილი**)
- დახალული** და არა **დახლილი**
- დახვედრებული** და არა **დახვედრილი**
- ჩახედული** და არა **ჩახედილი**
- ჩაწებული** და არა **ჩაწებილი**
- ავსებული** და არა **ავსილი**

**დავსებული და არა დავსილი
დაწყებული და არა დაწყილი...**

მოცემულ შემთხვევებში ენაში მომხდარია დიფერენციაცია:
-ილ სუფიქსიანი ფორმები (**დაკრობილი, დათრგუნვილი, დადობილი, ავსილი, დავსილი, დაწყილი...**) დიალექტიზმებია.

-ილ/-ულ სუფიქსთა მონაცვლეობა დამახასიათებელია ქართული ენის კილოებისთვის, განსაკუთრებით იმერულისთვის. ეს მოვლენა დასტურდება XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის ენაშიც. ამის მაგალითია **მომზადილი: იდეურათ მომზადილ...** ახალგაზრდებს მიერჩოდესთ სული და გული მაზედ („განთ.“, 2, 32). მოცემულ ფორმაში თემის ნიშანი ამოვარდნილია და ავტომატურად ათემატურ ფუძეს დაერთვის წესისამებრ **-ილ** (შდრ. **მომზად-ებ-ულ-ი**). **მომზადილი** ტიპის მიმღეობები (**ავსილი, დაწყილი...**) გავრცელებულია ზემოიმერულში (საღინაძე 1997: 103).

ზოგჯერ სალიტერატურო ენა **-ილ** სუფიქსიან მიმღეობას ანიჭებს უპირატესობას. მაგალითად, მართებულია **შეფუთნილი** და არა **შეფუთნული**, აგრეთვე: **დაღილი** და არა **დაღალული** (იმერ.) ან **მოღალული** (იმერხ.).

იშვიათად **-ილ/-ულ** სუფიქსებს მადიფერენცირების ფუნქციაც აქვს დაკისრებული. მაგალითად: **შედებილი** და **შედებული** ორი სრულიად განსხვავებული სემანტიკის ფორმაა: **შედებვა – შედება – შედებილი** და **შედება – შეადო – შედებული**.

ქართულში არის ფუძეები, რომელთაც ეწარმოება ორ-ორი მიმღეობა, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობისა:

- | | | |
|-------------------|----|--|
| გათბობილი | და | გამთბარი |
| გატეხილი | და | გამტყდარი |
| დადნობილი | და | დამდნარი |
| დატკობილი | და | დამტკბარი |
| დახრჩობილი | და | დამხრჩვალი |
| დათრობილი | და | (და)მთვრალი (< (და)მთრვალი)... |

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით:

გამთბარი – რაც გათბა. გამთბარი ბინა, – მზით გამთბარი (გვ. 226);

დამდნარი – 1. რაც დადნა. დამდნარი თოვლი. – დამდნარი ტყვია (გვ. 394);

დამტკბარი – 1. რაც დატკბა. 2. ვინც დატკბა. ბუნების სილამაზით დამტკბარი (გვ. 396);

დამთვრალი – ვინც დათვრა, – მთვრალი (გვ. 394).

ა. შანიძე მართებულად მიუთითებს აღნიშნულ „წყვილის ცალთა“ სემანტიკურ სხვაობაზე. ის, რაც გატეხეს, გაათბეს, დააძინეს... არის **გათბობილი, გატეხილი, დადნობილი...** ხოლო ის, რაც გათბა, გატყდა, დადნა... არის **გამთბარი, გამტყდარი, დამდნარი...** (შანიძე 1980: 572). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით კი მოცემულ პარალელურ მიმღეობათაგან მართებულად არის მიჩნეული **მ-არ (მ-ალ)** კონფიქსიანი ფორმები (**გამთბარი, დამტკბარი, დამდნარი, დამხრჩვალი, (და)მთვრალი**). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოცემულ შემთხვევაშიც არ არის გათვალისწინებული ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპი.

ვარიანტთაგან: **გატეხილი** და **გამტყდარი** სალიტერატურო ენაში არჩევანი გაკეთებულია **-ილ** სუფიქსიან ფორმაზე (შდრ.: **გამტყდარი** – რაც გატყდა, – გატეხილი. გატეხილი ჭიქა – ქეგლ 1990: I, 262); **დახრჩობილი** – **დამხრჩვალი** ფორმათა შემთხვევაში არჩევანი განსხვავებულია: მართებულად მიჩნეულია **მ-ალ** კონფიქსიანი **დამხრჩვალი** (შდრ.: **დამხრჩვალი** – ვინც, რაც დაიხრჩო. დამხრჩვალი ცხენი – ქეგლ 1990: I, 399; **დახრჩობილი** – იგივეა, რაც დამხრჩვალი – იქვე, 456);

ნორმირების ერთიანი პრინციპი არ არის დაცული და ფორმათაგან: **გალხობილი** [// **გამლხვალი**], **გალღობილი** (// **გამლღვალი**) დასაშვებად მიჩნეულია ორივე, თუმცა უპირატესობა პირველს აქვს მინიჭებული (თოფურია, გიგინეიშვილი 1998: 143).

ვფიქრობთ, სემანტიკური სიზუსტის, პერსპექტივის, უნიფიცირებისა და, რაც მთავარია, ენის სისტემურობის თვალსაზრისით უნდა მოხდეს **-ილ/-ულ** სუფიქსიან და **მ-არ (მ-ალ)** კონფიქსიან ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულში ფორმითა და ფუნქციით გამოიჯნულია სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობები. სახელდობრ, ვინც ან რაც მოქმედებს, არის **მკეთებელი, მშენებელი, გადამწყვეტი, დამყანგავი, შემსრულებელი...** ხოლო – ვინც ან რაც განიცდის მოქმე-

დებას, არის **საკეთებელი, საშენებელი, შესასრულებელი, გადასაწყვეტი, დასაჯანგავი...**

ასეთივე შეფარდებაა **იბრძვის** ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობებს შორის: **მებრძოლი – საბრძოლო** (ზდრ.: **ჩამკეტი – საკეტი, მადულარი – სადულარი...**).

ჩვეულებრივ, **მკეთებელი, მშენებელი, მებრძოლი...** ტიპის მიმღეობები მოქმედი საგნის აღმნიშვნელი სახელის, უმეტესად ადამიანის მსაზღვრელად გვევლინება, ხოლო **საკეთებელი, საშენებელი, საბრძოლო...** ტიპისა – არამოქმედის, ნივთის მსაზღვრელად. მაგალითად: *ბინდმა გაყარა მებრძოლნი მტერნი* (ნ. ბარათ.) და: *ამ ნაწარმოებში გამოვლინდა... საბრძოლო განწყობილება* (ქართ. ლიტ.).

აღნიშნული ფუნქციური დაპირისპირება ყოველთვის არ არის გათვალისწინებული, რის გამოც ვიღებთ არაბუნებრივ შედეგებს. მაგალითად, უნდა იყოს: **საბრძოლო განწყობილება** და არა **მებრძოლი განწყობილება** (ქსკს 1985: 204).

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში დადგენილია, რომ **მა-**პრეფიქსიანი მიმღეობები გამოიყენება მოქმედი პირის აღსანიშნავად, **სა-**პრეფიქსიანი კი – სამოქმედო საგნისა (ჩიქობავა 1940: 168). მიუხედავად ამისა, ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ ხდება ფორმათა აღრევა:

გამამრავლებელი	და	გასამრავლებელი
გადამამუშავებელი	და	გადასამუშავებელი
დამამზადებელი	და	დასამზადებელი
მათანაბრებელი	და	სათანაბრებელი
მაწარმოებელი	და	საწარმოებელი
მახარისხებელი	და	სახარისხებელი
წამმზომი	და	წამსაზომი
ავიამზიდი	და	ბომბსაზიდი (ქსკს 1979: 304).

ქართულში შედარებით ნაკლებად გვხვდება **მ-, მო-, მ-არე, მ-არ** აფიქსებით ნაწარმოები მიმღეობური ფორმები: **მ-ხატვ-არ-ი, მ-ღებვ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი, მ-ქუხ-არე...** ამ ტიპის მიმღეობებთანაც ზოგჯერ სწორად არ ხდება ამოსავალი მასდარული ფორმის გააზრება, რაც განაპირობებს ნორმათა დარღვევას:

მართველია:

მცდარია:

მდგომარე

მდგომიარე

მჯდომარე

მჯდომიარე

მღიმარე

მოღიმარი, მომღიმარი...

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით კანონიერად არის მიჩნეული **მწოლიარე**. შეცდომაა **მწოლა-რე**. მაშასადამე, **მ-არე** კონფიქსით ნაწარმოებ მიმღეობებთანაც ნორმირების ერთიანი პრინციპის უქონლობაზე შეიძლება ვისაუბროთ.

გარდა ზემოხსენებულისა, გამოიყოფა სხვაგვარი წარმოების ფორმებიც: **მ-საჯ-ულ-ი, მე-ტყველ-ი, მო-ქმედ-ი, მო-ზარდ-ი...**

თანამედროვე ქართულში მიმღეობათა ერთი ნაწილი არსებით სახელად არის ქცეული. ასეთ სახელებს მხოლოდ ფორმა აქვთ მიმღეობისა შენარჩუნებული. ზოგიერთი მიმღეობა იმდენად ადრე იქცა სახელად, რომ დღეს ფორმალურადაც ჭირს მიმღეობის კვალის აღდგენა. უძველეს ქართულში უნდა იყოს არსებით სახელებად ქცეული: **თოვლი** (< *თოვ-ილ-ი < **თოვს**), **კუამლი** (< ***კუამ-ილ-ი** < **კუამის**), **ცრემლი** (< ***ცრემ-ილ-ი** < **ცრემლოვის**), **ყვავილი** (< **ყუავ-ილ-ი** < **ყუავის**), **შვილი** (< ***შევ-ილ-ი** < **შევობს**)... წარმოშობით მიმღეობაა **მსხვერპლი**, რომლის ამოსავალი ფორმაა **სხვერპ-ილ-ი**. ეს ფორმა დასტურდება XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში: *მოწყალებასა და სხვერპლს არავინ გთხოვთ* („იმერ.“, 3, 3). **სხვერპლი** წარსული დროის საობიექტო მიმღეობაა (ისევე როგორც **ცრემლი, კუამლი, თოვლი...**) და დაკავშირებულია **სხუერპასთან**, რომლისგანაც მიღებულია ახ. ქართ. **სხებ // სხიბ. გასხეპს** ნიშნავს: 1. დაჭრის, წააჭრის (წვრილ-წვრილ ტოტებს, ფოთლებს); 2. გაკვეთს, გაჩეხს. შდრ. გაისხიპება, გასხეპა, გასხეპილი (ქეგლ); **მსხვერპლი** = რომელიმე ღვთაებისთვის შეწირული ნივთი ან ცოცხალი არსება (ქეგლ). ეს განმარტება ეყრდნობა საბასეულს: **მსხუერპლი** = შესაწირავი; შდრ.: **სხუერპა – სხუერპილი – სხუერპლი** > ძვ. ქ. **მსხუერპლი** > ახ. ქ. **მსხვერპლი // ახ. ქ. სხეპა – (გა)სხეპილი** (სალინაძე 1997: 117).

განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობური ფორმები, რომელთაგან ზოგიერთს დღეს სრულიად დაკარგული აქვს სახელზმნის რაიმე თვისება და გაარსებობულია, ზოგიერთი კი იშვიათად მიმღეობურ თვისებასაც გამოხატავს:

მ-არ (მ-ალ): მ-ხატვ-არ-ი, მ-დეგ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი, მ-კურნ-ალ-ი...

მა-არ (მა-ალ): მა-ძებ-არ-ი, მა-ცივ-არ-ი, მა-რჩენ-ალ-ი...

მ-ურ (მ-ულ): მ-დგმ-ურ-ი, მ-ზარე-ულ-ი...

მ-არე: მ-დინ-არე, მ-დულ-არე, მ-წუხ-არე, მ-შფოთვ-არე,
მ-ქუხ-არე...

მა-ელ: მა-ყურებ-ელ-ი, მა-ძიებ-ელ-ი, მა-ტარებ-ელ-ი, მა-სწავ-
ლებ-ელ-ი...

მ-ელ: მ-ზრუნვ-ელ-ი, მ-ზრდ-ელ-ი, მ-შობ-ელ-ი...

მომავალი დროის მიმდევობის მაწარმოებლებია **სა-, სა-არ (სა-
ალ), სა-ელ** კონფიქსები. არსებით სახელად იქცა ასეთი წარმოების
მიმდევობებიც.

სა- პრეფიქსით არის ნაწარმოები **საქმე**. საინტერესოა ამ სი-
ტყვის წარმოების ისტორია. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, იგი
უნდა მომდინარეობდეს **საქმელ-** ფუძისაგან, რომელსაც გვავარაუ-
დებინებს ***უ-ქმ-ელ (> უ-ქმ-ე // უ-ქმ-ი)** ფუძის არსებობა. აწმყოს მი-
მდევობას აწარმოებს **მო-ედ: მო-ქმ-ედ-ი**. ეს მიმდევობა ისევეა აგებუ-
ლი, როგორც **რბის** ზმნისა: **მო-რბ-ედ-ი**. **უ-ქმ-ელ-ი** უარყოფითი მი-
მდევობაა (შდრ.: **სა-ჭმ-ელ-ი – უ-ჭმ-ელ-ი**). ფორმათაგან: **მოქმედი,**
საქმე (< სა-ქმ-ელი), *უქმელი უფრო ძველი ვარიანტი უნდა იყოს **მო-
ქმედი. საქმე** გაარსებითებულია.

მნიშვნელობის ამგვარი ცვლა უჩვეულო არ არის: **სარეცელი,**
სარტყელი, სასაჯელი, სასამელი, საფეთქელი... წარმოშობით მყოფა-
დის მიმდევობებია. ამჟამად ისინი ჩვეულებრივი სახელებია და მიუ-
გებს კითხვაზე: რა? (ჩიქობავა 1953: 33-48).

წარმოშობით მყოფადის მიმდევობაა აგრეთვე დღეს უკვე სახე-
ლად ქცეული ფორმები: **საკეტი, საკერავი, სამარხი, საწური, საწყისი,**
საფქვაფი, საცაფი... ენაში გაჩნდა მათი ვარიანტები, რომელთაგან
ზოგი სემანტიკურად გამიჯნულია, ზოგი კი – გაუმიჯნავი:

საკეტი, დასაკეტავი და დასაკეტი

საკერავი, შესაკერავი და შესაკერი

სამარხი, დასამარხავი და დასამარხი

საწური, დასაწურავი და დასაწური...

ამათგან **-ავ** თემისნიშნისანი ფორმები თანამედროვე ქართული
სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით უარყოფილია. მართებუ-

ლად არის მიჩნეული უთემისნიშნო მოკლე ფორმები: **დასაკეტი, შე-საკერი, დასამარხი, დასაწერი.**

მიმღეობურ ფორმათა ნორმირება ასეთ შემთხვევებშიც არ ემყარება ერთიან პრინციპს. ზოგჯერ ნორმა წინააღმდეგობრივია. მაგალითად, **დასაღუბავი** და **დასაღუბი** ფორმათაგან კანონიერად არის მიჩნეული სწორედ **-ავ** თემისნიშნიანი მიმღეობა (**დასაღუბავი**); მართებულია აგრეთვე ვარიანტები: **დასაკლავი** და **დასაკვლელი, დასაცავი** და **დასაცველი** (თოფურია, გიგინეიშვილი 1998: 231). ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირველ ვარიანტს, **-ავ** თემისნიშნიანს (**დასაკლავი, დასაცავი**), როგორც უფრო მეტად გავრცელებულს ენაში.

ქართულში მიმღეობურ ფორმათა მადიფერენცირებლად ხშირად გვევლინება ზმნისწინი. მაგალითად, **საფეკავი – დასაფეკავი, ძებნილი – დაძებნილი, გზავნილი – გაგზავნილი, საკლავი – დასაკლავი...** ეს ბუნებრივად არის იმდენად, რამდენადაც ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა – სადერივაციო ფუნქცია ზმნისწინის ერთ-ერთი უძველესი ფუნქციაა. გამონაკლისია **დასაწყისი**. ისიც არსებით სახელად იქცა, თუმცა იმავე **და-** ზმნისწინის მეშვეობით გაჩნდა მიმღეობა **დასაწყები**; აქვე უნდა გამოიყოს **საკერავი**, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობით დასტურდება ენაში: ერთ შემთხვევაში არსებითი სახელია, მაგალითად: *მკერავს საკერავი დაუგროვდა*, მეორე შემთხვევაში კი – მიმღეობა, მაგალითად, *საკერავი მანქანა*. მასასადამე, მოცემული მიმღეობური ფორმის არსებით სახელად ქცევის პროცესი ჯერ არ არის დასრულებული ენაში.

ასევე საინტერესოა სხვადასხვაგვარი წარმოების ფორმები **შობილი** და **ნაშობი**, რომლებიც **შეილი**-ს გარსებითების შემდგომ უნდა იყოს გაჩენილი. ახალ სალიტერატურო ქართულში ისინი ინარჩუნებენ ორმაგ ფუნქციას. მაგალითად: *შობილი ნაშობს არრას მეტყოდა* (ილია).

ანალოგიური ვითარებაა სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, სიტყვა **სასმელი** არსებითი სახელია წინადადებაში: *დიასახლისმა სტუმარს სასმელი შესთავაზა*, ხოლო მიმღეობაა წინადადებაში: *სასმელი წყალი მოიმარაგეს*. ქართულში გაჩნდა ახალი მიმღეობური ფორმა **დასაღვეი**, რაც იმას ნიშნავს, რომ ენამ გამოხატა **სასმელი**-ს არსებით სახელად ქცევის, ანუ სემანტიკური დიფერენცირების ტენდენცია, თუმცა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მი-

ხედვით მართებულად არის მიჩნეული **სასმელი წყალი** და არა **დასალევი წყალი** (თოფურია, გიგინეიშვილი 1998: 230). ჩვენი აზრით, სემანტიკური დიფერენციაციის ტენდენციაზე მიუთითებს სასაუბრო ენაში გაჩენილი გაარსებითებული მიმღეობა **დასალევი: ბიჭებს დასალევიც მოეტანათ**.

სა- პრეფიქსით ნაწარმოებ ფორმათაგან: **საკითხი, საკითხავი, წასაკითხავი, წასაკითხი** გაარსებითებულია **საკითხი**. მაგალითად: *...საკითხის შესწავლას ჩემი შემცვლელი დაამთავრებდა* (ჭ. ამირეჯ.); მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკური დიფერენციაციის ტენდენცია აქც გამოიხატა, **საკითხავი** ჯერ კიდევ ორმაგი მნიშვნელობით არის ენაში. შდრ.: **საკითხავი მასალა** და **ბიბლიური საკითხავები**. ამიტომ გაჩნდა **წა-** ზმნისწინიანი ვარიანტები **წასაკითხი** და **წასაკითხავი** (ნორმათა მიხედვით ორივე კანონიერია).

კიდევ უფრო მკაფიოდ არსებითი სახელის თვისებები გამოვლენილია **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოებ მიმღეობებში: **ნაამბობი, ნაგლეჯი, ნატები, ნაცნობი, ნაშრომი, ნაამბობი, ნაკვეთი, მონაკვეთი, ნაწერი, ჩანაწერი, ნაწარმოები...**

ზოგჯერ პრეფიქსული წარმოება ფორმათა სადიფერენციაციოდ მნიშვნელოვანი საშუალებაა. სულ სხვაა სემანტიკურად, მაგალითად, **ზარდ** ფუძისაგან მიღებული მიმღეობები. **მ-** პრეფიქსით არის ნაწარმოები **მზარდი** (რაც, ვინც იზრდება, – ზრდის პროცესში მყოფი. მზარდი მცენარე – ქეგლ 1990: II, 638); **მ-** პრეფიქსის ნაცვლად **ზარდ** ფუძეზე **მო-**ს დართვით მიღებულია განსხვავებული სემანტიკის ფორმა **მოზარდი** (ვინც, რაც იზრდება, ზრდის პროცესშია, – ზრდადაუსრულებელი. მოზარდი თაობა. – მოზარდი პირუტყვი. – მოზარდი ნერგი – იქვე: 693);

სემანტიკურად სხვადასხვაა ასევე **-ილ** სუფიქსიანი **ზრდილი** (იგივეა, რაც ზრდილობიანი – ქეგლ: I, 506) და **მო-**ს დართვით მიღებული **მოზრდილი** (1. ვინც მოიზარდა; – ბავშვობის ასაკიდან გამოსული; ზრდადამთავრებული, სრულასაკოვანი ადამიანი. 2. რაც მოიზარდეს. მოზრდილი წვერი. 3. საკმაოდ დიდი. მოზრდილი ვარია. – მოზრდილი პურის ნაჭერი – იქვე II: 693);

განსხვავებულია **მ-** პრეფიქსიანი **მკითხავი** (ვისიმე ბედის, მომავლის ვითომც წინასწარ შემტყობი, – მარჩიელი) და **მ-ელ** კონფიქსიანი **მკითხველი** (ვინც კითხულობს, ვისთვისაც განკუთვნილია ესა

თუ ის ნაწერი, ნაწარმოები. გაზეთის მკითხველები) (ქეგლ 1990: II, 675)...

ხშირად მადიფერენცირებლის როლი ზმნისწინს დაკისრებული აქვს თვით სახელად ქცეულ მიმღებობებშიც. მაგალითად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არის მხოლოდ **მ-** პრეფიქსით ნაწარმოები **მყიდველი** (ვინც ყიდულობს რასმე – ქეგლ 1990: II, 756) და **გა-** ზმნისწინიანი **გამყიდველი** (1. ვინც [გა]ყიდის რასმე. გაზეთის გამყიდველი. 2. გადატ. მოღალატე, გამცემი (იქვე: I, 262).

თუ დავუკვირდებით მიმღებურ ფორმებში პრეფიქს-სუფიქსური წარმოების მიმართებას, დავინახავთ, რომ ქართულში, ერთი მხრივ, დასტურდება სახელად ქცეული მიმღებობები და მათი პარალელური **-ილ/-ულ** სუფიქსიანი ვარიანტები, მეორე მხრივ კი, **ნა-** პრეფიქსითა და **-ილ/-ულ** სუფიქსით ნაწარმოები ჩვეულებრივი მიმღებობები:

1. ა) **ნა-; -ილ:**

ნარჩენი და **დარჩენილი**
ნამყენი და **დამყენილი**
ნაკბენი და **დაკბენილი**
ნაკერი, **გაკერილი**, **დაკერილი**
ნაკეცი, **გაკეცილი**, **დაკეცილი**

ბ) **ნა-; -ულ:**

ნარკვევი და **გარკვეული**
ნართი და **დართული**
ნაკაწრი, **გაკაწრული**, **დაკაწრული**
ნადული, **ნადულები**, **ადულებული...**

ამ ფორმებში სემანტიკური დიფერენციაციის პროცესი დასრულებულია თვით **ნა-** პრეფიქსიანებშიც კი (**ნადული**, **ნადულები**).

2. **ნა-** პრეფიქსითა და **-ილ/-ულ** სუფიქსით ნაწარმოები მართებულად მიჩნეული ვარიანტები:

ნაკაზმი და **შეკაზული**
ნაკაფი და **გაკაფული**
ნაკბერი და **მოკბერილი**
ნაკემსი და **დაკემსილი**
ნაკები და **დაკებილი**
ნაკორტნი და **დაკორტნილი**

ნაკრეფი და დაკრეფილი
ნაკრეპი და გაკრეპილი
ნალხენი და მოლხენილი
ნაპოხი და ნაპოხარი // გაპოხილი
ნაყეი და დაყეილი
ნამალავი (// ნამალი) [და არა ნამალევი] // დამალული
დანაწერი და დაწერილი
მონაგები და მოგებული... (თოფურია, გიგინეიშვილი 1998:
397).

საინტერესოა **ნაკვეთი, გაკვეთილი** – აქ ორივე მიმდებარე ფორმა სახელად იქცა, თუმცა მეორე ჯერჯერობით გაუდიფერენცირებელია. შდრ.: 1. გაკვეთილი დაიწყო და 2. თოკი შუაზე იყო გაკვეთილი.

ზოგიერთი **ნა-** პრეფიქსიანი არსებით სახელად ქცეული მიმდებარე ახალი დერივატის საფუძვლად იქცა. ასე გაჩნდა ქართულში, მაგალითად, **ნარევი > მინარევი**; ზოგიერთი **ნა-** პრეფიქსიანი მიმდებარე ფორმა საკმარისი არ აღმოჩნდა გაარსებითებისათვის და ამ მიზნით ენამ გამოიყენა სადერივაციო აფიქსები. მაგალითად: **ნაკეთები – გაკეთებული > ნაკეთი > ნაკეთობა, ნარჩევი > ნარჩევალა...**

ნა-ევ კონფიქსით ნაწარმოები არსებით სახელად ქცეული მიმდებარე (**ნაკარნახევი, ნააზრევი...**) ქართულში ცოტაა. არის რამდენიმე სახელი, რომლებიც შესატყვის პარალელურ ფორმათაგან უკვე გამოიჯნულა:

ნამსხვრევი და დამსხვრეული
ნამტვრევი და დამტვრეული...

ამას ვერ ვიტყვით **ნა-ევ** კონფიქსით ნაწარმოები მიმდებარისა და მისი **-ულ** სუფიქსიანი შესატყვისის შესახებ, როგორც არის **ნაკვლევი** და **გამოკვლეული**. ეს ფორმები გაუდიფერენცირებელია: **ნაკვლევი** – რასაც იკვლევდნენ; კვლევის შედეგად მიღებული. სერიოზული მეცნიერული ნაკვლევი. 2. იგივეა, რაც ნაკვალევი (ქეგლ 1990 II: 769); **გამოკვლეული** – რაც გამოიკვლიეს. გამოკვლეული საკითხი (იქვე I: 241).

ქართულში უხვად არის აგრეთვე **-ილ/-ულ** სუფიქსებით ნაწარმოები გაარსებითებული მიმდებარისი:

-**ილ** სუფიქსიანი: **ფქვ-ილ-ი, წერ-ილ-ი, ლტოლვ-ილ-ი, ძეზნ-ილ-ი...**

-**ულ** სუფიქსიანი: **ნათლ-ულ-ი, ბრალდებ-ულ-ი, წარს-ულ-ი...**

ზოგჯერ მიმლეობურ ფორმათა (იგულისხმება პარალელური წარმოების მიმლეობანი) სემანტიკური დიფერენციაცია გაარსებითების მოტივაციას ქმნის. მაგალითად:

**დაძახებული, დაძახილი, ძახილი
დაქადნებული, დაქადნილი, ქადილი...**

როგორც ცნობილია, ენა ახალი ტერმინების შესაქმნელად იყენებს უკვე არსებულ საშუალებებს. ესაა სიტყვაწარმოება (წარმოქმნა და თხზვა).

ქართულში არის ისეთი კომპოზიტები, რომელთა შემადგენლობაშიც შესულია მიმლეობები. მაგალითად: **ზედამხედველი, თვალხილული, თავგადასავალი, თავმჯდომარე, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ოჯახაშენებელი, ხელმძღვანელი...** აღსანიშნავია, რომ კომპოზიტის შემადგენლობაში შედის სახელად ქცეული მიმლეობებიც. მაგალითად: **მეფისნაცვალი, ხელწერილი, გულისტკივილი, იგავთმწერალი, ღვთისმშობელი...** ასეთი კომპოზიტები უკვე ერთგნებთანად არის მიჩნეული.

პარალელიზმი მიმლეობურ კომპოზიტებშიც აღინიშნება:

**პატივსაცემი, საპატივემულო (ან: საპატივემო)
პასუხსაგები, საპასუხისმგებლო
ყურადსადები, საყურადღებო...**

პირველ შემთხვევაში მართებული-უმართებულო გამიჯნულია და კანონიერად არის მიჩნეული **პატივსაცემი** (შდრ. **უზრუნველსაყოფი**), მაგრამ მეორე შემთხვევაში ფორმები გაუმიჯნავია და მართებულად არის მიჩნეული როგორც **პასუხსაგები**, ისე **საპასუხისმგებლო** (თოფურია, გიგინეიშვილი 1998: 413, 442). ასეთივეა **ყურადსადები** და **საყურადღებო** (იქვე: 447, 511). მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც არ არის დაცული ნორმირების ერთიანი პრინციპი.

რაც შეეხება ქართულში დამკვიდრებულ ტერმინს **სახელმძღვანელო**, იგი მიმლეობური კომპოზიტისგან **სა-ო** კონფიქსით წარმოქმნილი დერივატია: **სა-ხელმძღვანელ-ო**. ზემოთ დასახელებულ მიმლეობურ კომპოზიტთა (**საპასუხისმგებლო...**) ანალოგიით იშვიათად ზეპირ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს ფორმა **ხელსამძღვანელო**.

ქართულ ენაში გამოვლენილ ნაირგვარ მიმღეობურ ფორმათა მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. მიმღეობურ ფორმათა მრავალფეროვნება შეპირობებულია მაწარმოებელ აფიქსთა სიუხვით;

2. მიმღეობათა სემანტიკური დიფერენციაცია, არსებით სახელად ქცეული მიმღეობები ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი უშრეტი წყაროა;

3. სხვადასხვა წარმოების მიმღეობურ ვარიანტთა არსებობა ქართულში სემანტიკური დიფერენციაციის პროცესის დაუსრულებლობის მაჩვენებელია;

4. მართებულ და უმართებულო მიმღეობურ ფორმათა გაუდიფერენცირებლობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნორმირების ერთიანი პრინციპების უქონლობაზე მეტყველებს.

ლიტერატურა

ორთოგრ. 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიულილექსიკონი, თბილისი.

ოსიძე 1957 – ეკ. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში: თსუ შრომები, ტ. 67, თბილისი.

სალინაძე 1997 – რ. სალინაძე, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების გზები (XX სკ. დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალების მიხედვით): საკანდ. დისერტ., თბილისი.

ქეგლ 1990 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომ., თბილისი.

ქსკს 1979 – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, თბილისი.

ქსკს 1985 – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი.

ჩიქობავა 1953 – არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იკე, ტ. V, თბილისი.

ჩიქობავა 1940 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულებისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.